ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 205

"23" ივნისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გლდანის მასივში, ხიზანიშვილის ქუჩაზე ს/კ N01.11.12.013.038 გათვალისწინებული 400კვმ მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 12 ივნისის N.º 5/35415 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნა და სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩაზე ს/კ N01.11.12.013.038 რეგისტრირებული 400კვმ მიწის ნაკვეთი, იმ პირობით, რომ სანაცვლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცემა შპს „თარაზოს" საკუთრებაში არსებული ს/კ N01.13.01.022.126 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში ასევე გადასაცემი და მისაღები უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არსებობის შემთხვევაში, სხვაობის თანხა უნდა ჩაირიცხოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, N01.11.12.013.038 საკადასტრო ერთეულზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო ს/კ N01.11.12.008.011 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოეწყობა სკვერი ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის გადაცემიდან ერთი წლის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების და სსიპ არქიტექტურის სამსახურებთან შეთანხმებით.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი